

## ტრენინგ-პროგრამა –

### ინკლუზიური განათლება სკოლის ადმინისტრაციისა და რესურს ცენტრებისთვის

#### მოდული: „ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები“

1. ტრენინგ-მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მომწოდებელი (სტრუქტურული ერთეული-სამსახური) და სტატუსი (თანამდებობა, პოზიცია): სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახური; ინკლუზიური განათლების ექსპერტ-კონსულტანტი ჟანა კვაჭაძე.
2. ტრენინგ-მოდულის / ტრენინგ-პროგრამის განმახორციელებელი (სტრუქტურული ერთეული-სამსახური):  
რეგიონული კოორდინაციის სამსახური
3. ტრენინგ-მოდულის დასახელება: „ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები“
4. ტრენინგ-მოდულის / ტრენინგ-პროგრამის ჯგუფი/ჯგუფები:
  - 4.1 უფასო ტრენინგის ჩატარების შემთხვევაში - სკოლის ადმინისტრაცია - დირექტორი, სასწავლო ნაწილი; რესურს ცენტრის წარმომადგენელი
  - 4.2 ფასიანი ტრენინგის ჩატარების შემთხვევაში განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.
5. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მსმენელთა დასაშვები რაოდენობა:
  - 5.1. უფასო ტრენინგის შემთხვევაში : 15-20 მსმენელი.
  - 5.2. ფასიანი ტრენინგის შემთხვევაში: 10-20
6. რეგიონული დაფარვა: საქართველო
7. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის ხანგრძლივობა და დროში განაწილება:

ტრენინგის ხანგრძლივობა შეადგენს 12 საკონტაქტო და 8 დამოუკიდებელი მუშაობის საათს. 4 საკონტაქტო საათი (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შეიცვალოს ტრენინგის დატვირთვა დღეში მინიმალური 2 საკონტაქტო საათიდან მაქსიმალურ - 6 საკონტაქტო საათამდე.)

*შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის ჩასატარებელი დღეებისა და საათების რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.*

**8. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით:** 20 საათი - 12 საკონტაქტო და 8 დამოუკიდებელი მუშაობის საათი.

**9. ადამიანური რესურსი:** ინკლუზიური განათლების ტრენერები. ტრენინგს ატარებს ერთი ტრენერი, მაგრამ თუ ტრენერი არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, საჭიროა ტრენინგის ჩატარება ტრენერთა წყვილის მიერ.

შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირი (ტრენერი/ტრენერები) მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ტრენინგი ჩატარდეს წყვილში.

**10. მატერიალური და ტექნიკური კონკრეტული სასწავლო რესურსი:** პროექტორი, ლეპტოპი, ფლიფჩარტი. ფერადი მარკერები.

**11. სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები:** ტრენინგის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტად ცენტრის მიერ გაიცემა ცნობა

**12. მსმენელის შეფასების სისტემა:** ტრენინგის ბოლოს მონაწილეები ასრულებენ ჯგუფურ დავალებას სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნის 2 წლიანი სტრატეგიის შესახებ და ზეპირად წარმოადგენენ დავალებას. დავალება ფასდება მაქსიმალური 20 ქულით.

**პროგრამის მისაღწევი საბოლოო შედეგები:**

1. მონაწილეები იცნობენ ინკლუზიური განათლების არსს და ინკლუზიურ განათლებას იაზრებენ განათლების პროცესის განუყოფელ ნაწილად.
2. მონაწილეები აცნობიერებენ სკოლის მართვის პროცესში ინკლუზიური ღირებულებების არსებობის მნიშვნელობას.
3. მონაწილეები აცნობიერებენ ბავშვზე ცენტრირებული ინდივიდუალური მიდგომებით სწავლების მნიშვნელობას.

4. მონაწილეებმა იციან, რას გულისხმობს ინკლუზიური გარემო სკოლაში. შეუძლიათ სასკოლო გარემოში საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა რელევანტური გარემოს შექმნისათვის.
5. მონაწილეები აცნობიერებენ საკუთარ როლს ინკლუზიური განათლების წარმართვის პროცესში და აქვთ ხედვა კონკრეტული სტრატეგიების განხორციელებასთან დაკავშირებით.
6. მონაწილეებმა იციან ეთიკური ტერმინოლოგიის გამოყენების მნიშვნელობა სსსმ და შშმ პირთა საკითხების ანალიზისა, თუ პროცესების აღწერისას.
7. მონაწილეებმა იციან სკოლაში დამხმარე სპეციალისტების არსებობის მნიშვნელობა, მათი ფუნქცია და თანამშრომლობის გზები.
8. მონაწილეებმა იციან საქართველოში არებული სსსმ და შშმ პირებისათვის განკუთვნილი მომსახურებების შესახებ.
9. მონაწილეები იცნობენ ინკლუზიური განათლების ქართულ და საერთაშორისო მარეგულირებელ დოკუმენტებს და იციან, როგორ დაიცვან სტანდარტული სივრცეში სსსმ და შშმ პირთა უფლებები.
10. მონაწილეებმა იციან სკოლაში ინკლუზიური განათლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მექანიზმები.
11. მონაწილეებმა იციან ინკლუზიური განათლების პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის სკოლის, რესურს ცენტრის და შესაბამისი უწყებების თანამშრომლობის მექანიზმების მნიშვნელობა.
12. მონაწილეებმა იციან სკოლის მართვის პროცესში გუნდური პრინციპით მუშაობის მნიშვნელობა და შეუძლიათ მასწავლებლების და/ან სპეციალური მასწავლებლების მოტივირება ყველა მოსწავლესთან და მათ შორის სსსმ და შშმ პირებთან მუშაობის პროცესში.